მონაცემთა ინიციატივა 2009

ინსტრუქციები ინტერვიუერებისათვის

დიდი მადლობა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან თანამშრომლობისათვის. ჩვენ წარმოვადგენთ არაკომერციულ დამოუკიდებელ კვლევით ცენტრს, რომელიც ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ერთ-ერთი პროგრამაა საქართველოში. „მონაცემთა ინიციატივა" ჩვენი ყოველწლიური გამოკითხვაა, რომელიც ერთდროულად ტარდება საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში და საშუალებას გვაძლევს უკეთ შევისწავლოთ ხალხის შეხედულებები და ცხოვრების პირობები ამიერკავკასიაში.

"მონაცემთა ინიციატივის" კითხვარში მოყვანილი ინსტრუქციების დამატებით, ეს დოკუმენტი მეტ ინფორმაციას გაძლევთ იმ კითხვების შესახებ, რომლებითაც მივმართავთ რესპონდენტებს, ისევე როგორც შინამეურნეობის და რესპონდენტის შერჩევის წესების შესახებ. ამ ინსტრუქციების შესრულება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს სანდო შედეგების მიღების წინაპირობაა.

I. შინამეურნეობის და რესპონდენტის შერჩევა

თქვენ გადმოგეცემათ შერჩეული შინამეურნეობების სია, სადაც მოცემული იქნება შინამეურნეობის ზუსტი მისამართი, ხოლო ისეთ დასახლებულ პუნქტებში, სადაც მისამართები არ არსებობს (მაგ., სოფლებში) – შინამეურნეობის უფროსის სახელი და გვარი. გთხოვთ, ესტუმრეთ ყველა შინამეურნეობას, წარუდგინეთ თავი, კითხვარის თავფურცელში მოყვანილი ტექსტის მეშვეობით გააცანით ინფორმაცია გამოკითხვის შესახებ და დაიწყეთ ინტერვიუ.

თუ თქვენი პირველი ვიზიტის დროს სახლში არავინ დაგხვდათ, ან ინტერვიუ ვერ ჩატარდა რაიმე სხვა მიზეზის გამო (გარდა იმ შემთხვევისა, თუ შინამეურნეობამ თავიდანვე უარი განაცხადა ინტერვიუზე), თქვენ აუცილებლად უნდა ესტუმროთ ამ შინამეურნეობას კიდევ ორჯერ, სანამ არგამოპასუხებას დააფიქსირებთ. დაიმახსოვრეთ: თითოეულ შინამეურნეობას **სამჯერ უნდა ეწვიოთ**, და მხოლოდ ამის შემდეგ შეგიძლიათ დააფიქსიროთ საბოლოო არგამოპასუხება (გარდა იმ შემთხვევებისა, თუ შინამეურნეობა თავიდანვე უარს განაცხადებს ინტერვიუზე – ასეთ შემთხვევაში არგამოპასუხება მაშინვე ფიქსირდება). ინტერვიუს ჩატარების ყველა მცდელობა უნდა დააფიქსიროთ თავფურცელის პირველ გვერდზე, ცვლადებში **V6**, **V7** და **V8**; აგრეთვე, არგამოპასუხების ფორმის კითხვაში **NR1** (თუ ინტერვიუ ვერ ჩატარდა პირველი ვიზიტის შედეგად); **NR2**-ში (თუ ინტერვიუ ვერ ჩატარდა მეორე ვიზიტის შედეგად), და **NR3**-ში (თუ ინტერვიუ ვერ ჩატარდა მესამე ვიზიტის შედეგად).

რესპონდენტი უნდა შეირჩეს **კიშის ცხრილის** მიხედვით. გთხოვთ, ყურადღებით მისდიეთ რესპონდენტის შერჩევის ინსტრუქციებს კითხვარის თავფურცელში. გახსოვდეთ, რომ თუ რესპონდენტი არასწორად იქნა შერჩეული, კითხვარი გაუქმდება, ამიტომ გთხოვთ უაღრესად ყურადღებით მოეკიდოთ ამ საქმეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ შინამეურნეობა, ან შერჩეული რესპონდენტი, უარს განაცხადებს ინტერვიუზე, შეავსეთ **არგამოპასუხების ფორმა**, რომელიც

თავფურცელის ბოლოსაა მოთავსებული. იგივე ფორმა უნდა შეავსოთ ყველა იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუ ვერ ჩატარდა ნებისმიერი სხვა მიზეზის გამო, მას შემდეგ, რაც თქვენ სამჯერ ეწვიეთ შინამეურნეობას. გახსოვდეთ, რომ არავითარ შემთხვევაში **არ შეიძლება შერჩეული შინამეურნეობის ჩანაცვლება სხვა შინამეურნეობით**, ისევე როგორც **არ შეიძლება შერჩეული რესპონდენტის ჩანაცვლება ოჯახის სხვა წევრით**.

II. კითხვარის შევსება

1. ზოგადი მოთხოვნები

"მონაცემთა ინიციატივა 2009"-ის კითხვარი შედგება 8 ნაწილისგან. აქედან 5 არის ძირითადი ნაწილი, ხოლო 3 – მონაცვლეობითი. გარდა ამისა, კითხვარის ბოლოს მოთავსებულია ინტერვიუს შეფასების ფორმა ინტერვიუერის მიერ. დამატებით, კითხვარს აქვს თავფურცელი; **არგამოპასუხების ფორმა** თავფურცელის ნაწილია.

კითხვარი საწერი კალმით შეავსეთ. ფანქრით შევსებული კითხვარები არ მიიღება.

კითხვების ტექსტი (ე.ი. ტექსტი, რომლითაც რესპონდენტს უნდა მიმართოთ) დაბეჭდილია **არა-მთავრული გამუქებული ასოებით**. ყველა რესპონდენტს უნდა წაუკითხოთ კითხვები **ზუსტად ისე, როგორც ისინი კითხვარშია მოყვანილი**. არ არის საჭირო კითხვების დაზეპირება, თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ ისინი კითხვარიდან ინტერვიუს დროს. არავითარ შემთხვევაში არ სცადოთ რამის ახსნა რესპონდენტისთვის თქვენი სიტყვებით.

კითხვარის ყველა ნაწილს (თავს) აქვს თავისი სათაური, თუმცა ეს სათაურები რესპონდენტებს არ უნდა წაუკითხოთ. ეს სათაურები, რომლებიც მთავრული ასოებითაა დაბეჭდილი, თქვენთვისაა, მათი მიზანია გაგიადვილოთ ინტერვიუს წარმართვა. მაგრამ აუცილებლად წაუკითხეთ რესპონდენტებს შესავალი და/ან დასკვნითი წინადადებები, რომლებიც **არა-მთავრული გამუქებული ასოებითაა** დაბეჭდილი კითხვარის თითოეული თავის დასაწყისში ან ბოლოში.

ჩვენ არასდროს არ ვუტარებთ რესპონდენტებს გამოცდას, არ ვამოწმებთ მათ ცოდნას და არ ვცდილობთ მათ შეფასებას – ჩვენ გვსურს მხოლოდ მათი მოსაზრებების შესწავლა. ამიტომ, ძალიან გთხოვთ, ნუ შეეცდებით დაეხმაროთ მათ ინტერვიუს პროცესში, მხოლოდ მოუსმინეთ მათ აზრებს და ზედმიწევნით ზუსტად ჩაინიშნეთ მათი პასუხები. არავითარ შემთხვევაში არ შეაფასოთ რესპონდენტის პასუხები – თქვენი მიზანია მოუსმინოთ რესპონდენტს და ხელი შეუწყოთ მას თავისი აზრის გამოხატვაში, რაც უნდა იყოს მისი აზრი.

რესპონდენტმა **არ** უნდა ჩაიხედოს კითხვარში არც ინტერვიუმდე, არც ინტერვიუს მსვლელობისას და არც მისი დასრულების შემდეგ. ის ისმენს თქვენს მიერ დასმულ კითხვებს და პასუხობს მათ. თუ რესპონდენტი ამას გთხოვთ, შეგიძლიათ გაუმეოროთ კითხვა ზუსტად იმავე სიტყვებით, როგორც კითხვარშია; ყოვლად დაუშვებელია კითხვების ფორმულირების შეცვლა. თუ თქვენ გავქთ რაიმე შენიშვნა რომელიმე კითხვასთან დაკავშირებით, გთხოვთ შეატყობინოთ ეს თქვენს ზედამხედველს ან უშუალოდ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს; თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ შენიშვნები გააკეთოთ კითხვარის მინდვრებზე. ჩვენ ყურადღებით შევისწავლით თქვენს შენიშვნებს. თუმცა, გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ინტერვიუების ჩატარების პერიოდში 2009 წლის საველე სამუშაოების დროს არანაირი ცვლილება არ არის ნებადართული კითხვების ფორმულირებაში, და ყოველი კითხვარი შევსებული უნდა იქნეს ამ ინსტრუქციების შესაბამისად.

კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ყველა ღონე უნდა იხმაროთ, რათა რესპონდენტი

<u>არ</u> იხედებოდეს კითხვარში – მას არ უნდა მიეცეს საშუალება წაიკითხოს ის, რაც კითხვარში წერია. იმისათვის რომ ეს უზრუნველყოთ, ისეთი ადგილმდებარეობა დაიკავეთ ინტერვიუს მსვლელობისას, რომ თქვენს რესპონდენტს არ ჰქონდეს კითხვარში ჩახედვის შესაძლებლობა.

თქვენ **არ გაქვთ უფლება** თქვენი სიტყვებით აუხსნათ რესპონდენტს კითხვარში გამოყენებული არც ერთი სიტყვა, მაშინაც კი, თუ ღრმად ხართ დარწმუნებული, რომ კარგად შეგიძლიათ ამის გაკეთება. როდესაც რესპონდენტი ვერ იგებს კითხვას, ნელა გაიმეორეთ ეს კითხვა იგივე სიტყვებით, როგორც კითხვარშია, მაგრამ არ სცადოთ არაფრის ახსნა. <u>ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რათა შესაძლებელი იყოს კვლევის შედეგების შედარება.</u>

როდესაც კითხვაში <u>ხაზგასმული სიტყვა</u> შეგხვდებათ, განსაკუთრებული აქცენტი გააკეთეთ ამ სიტყვაზე კითხვის დასმისას.

კითხვარში მოცემულია დეტალური ინსტრუქციები, თუ როგორ უნდა იმუშაოთ თითოეულ კითხვასთან მიმართებაში. ეს ინსტრუქციები დაბეჭდილია მთავრული ასოებით და იწყება ფრაზით [<u>ინტერვიუერის საყურადღებოდ</u>!]. არასოდეს **არ წაუკითხოთ** რესპონდენტს ეს ინსტრუქციები, ისინი მხოლოდ თქვენთვისაა განკუთვნილი; ზედმიწევნით შეასრულეთ ყველა ასეთი ინსტრუქცია. კითხვარი, რომელიც არ იქნება შევსებული ამ ინსრუქციების დაცვით, ჩაითვლება უვარგისად.

რესპონდენტების პასუხების შესაბამის პირობით კოდებად გამოიყენება ციფრები ან ლათინური ანბანის ასოები. უმეტეს შემთხვევაში გამოიყენება ციფრები, მაგრამ ზოგ შემთხვევაში რიცხვების ნაცვლად ლათინური ასოები გამოიყენება. თქვენ უნდა იმუშაოთ ასოებთან ზუსტად ისევე, როგორც ციფრებთან, ანუ შემოხაზოთ რესპონდენტის პასუხის (ან პასუხების) შესაბამისი კოდი (ან კოდები).

როგორც წესი, პასუხის ვარიანტს „არ ვიცი" შეესაბამება კოდი '98', ხოლო ვარიანტს „უარი პასუხზე" – კოდი '99'. თუმცა არსებობს რამდენიმე გამონაკლისიც. პასუხის ეს ვარიანტები არ უნდა იყოს ცნობილი რესპონდენტებისათვის, ისინი არასოდეს არ არის მოყვანილი ბარათებში და არასოდეს არ უნდა წაუკითხოთ რესპონდენტებს.

იმ შემთხვევებში, როდესაც გვინდა, რომ რესპონდენტმა თავად წაიკითხოს პასუხის ვარიანტები, ჩვენ მომზადებული გვაქვს ბარათები, რომლებიც თქვენ შესაბამისი კითხვის დასმის დროს უნდა გადასცეთ რესპონდენტს და დაუტოვოთ მას პასუხის ვარიანტის არჩევამდე.

როდესაც კითხვარში წერია „აჩვენეთ ბარათი", თქვენ გევალებათ გადასცეთ რესპონდენტს შესაბამისი ბარათი. თუ რესპონდენტი ამას გთხოვთ, შეგიძლიათ აგრეთვე წაიკითხოთ ბარათში მოყვანილი ვარიანტები. დაიმახსოვრეთ, რომ ვარიანტები „არ ვიცი" და „უარი პასუხზე" <u>არასდროს</u> არ არის მოყვანილი ბარათებში, ხოლო ვარიანტი „სხვა" მოყვანილია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში (თუმცა, ეს ვარიანტები, როგორც წესი, მოყვანილია კითხვარში) და თქვენ <u>არასოდეს</u> არ უნდა უთხრათ რესპონდენტს ამ ვარიანტების შესახებ, თუ ის არ არის მოყვანილი ბარათში. თქვენ არავითარ შემთხვევაში არ გაქვთ უფლება რაიმე შეცვალოთ ბარათში, ან დაამატოთ რამე ბარათში მოყვანილ ტექსტს – ასეთი რამ შეუძლებელს გახდის ცალკეულ ინტერვიუების შედეგად მიღებული პასუხების შედარებას.

ბარათის გამოყენების შემთხვევაში თქვენ უნდა დარწმუნდეთ, რომ რესპონდენტი კითხულობს/უსმენს ბარათში ჩამოთვლილ <u>ყველა</u> ვარიანტს, და მხოლოდ ამის შემდეგ პასუხობს თქვენს მიერ დასმულ კითხვას. არ მიიღოთ რესპონდენტის პასუხი მანამ, სანამ იგი არ გაეცნობა ბარათში მოყვანილ <u>ყველა</u> ვარიანტს.

თქვენ ბარათების მხოლოდ ერთი კომპლექტი გექნებათ. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, რომ არც ერთმა რესპონდენტმა არ აღნიშნოს არაფერი, ან არ შემოხაზოს პასუხის რომელიმე ვარიანტი ბარათზე, ვინაიდან ბარათები მრავალჯერადი მოხმარებისაა და ყოველთვის, როდესაც თქვენ გადასცემთ რესპონდენტს ბარათს, ის უნდა იყოს სუფთა და მინაწერების გარეშე.

როდესაც ინსტრუქციაში წერია „წაიკითხეთ", თქვენ მოგეთხოვებათ პასუხის ვარიანტების ხმამაღლა წაკითხვა, გარდა ვარიანტებისა „სხვა", „არ ვიცი" და „უარი პასუხზე". რესპონდენტისგან პასუხის მიღებამდე აუცილებლად წაუკითხეთ მას პასუხის ყველა ვარიანტი. უმეტეს შემთხვევაში, როდესაც ინსტრუქციაში წერია „წაიკითხეთ", თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ მხოლოდ ერთი პასუხი. თუმცა, ყურადღებით მისდიეთ კითხვარის ინსტრუქციებს და თითოეულ კითხვასთან დაკავშირებით მიიღეთ პასუხების ის რაოდენობა, რაც შესაბამის ინსტრუქციაშია მითითებული. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს თქვენს მიერ შევსებული კითხვარის გაუქმება.

კითხვარის თითოეულ **ცხრილში** ნახავთ ისარს, რომელიც ცხრილის შევსების მიმართულებას მიუთითებს. გთხოვთ, შეავსოთ ცხრილები ამ ისრების მიმართულების შესაბამისად.

როდესაც რესპონდენტს რაიმე რიცხვის დასახელებას ვთხოვთ (მაგ., ოჯახის საერთო შემოსავალი), ჩვენ ყოველთვის გვაინტერესებს ზუსტი რიცხვი და **არა** ინტერვალი. თუ რესპონდენტის პასუხი ინტერვალს წარმოადგენს (მაგ., 350-400 ლარი), სთხოვეთ მას გითხრათ ერთი რიცხვი, თუნდაც მიახლოებითი. თქვენ **არ შეგიძლიათ** კითხვარში ინტერვალის ჩაწერა.

ყოველთვის, როდესაც კითხვარში წერია: /*ქვეყანა*/, დაასახელეთ ის ქვეყანა, სადაც ტარდება ინტერვიუ, იმის მიუხედავად, თუ რა ენაზე ატარებთ ინტერვიუს.

თავფურცელი

ცვლადები **V1**-დან **V4**-ის ჩათვლით თავფურცელის პირველ გვერდზე ივსება ზედამხედველის მიერ. გთხოვთ ჩაწეროთ თქვენი პირადი კოდი **V5**-ში, და შემდეგ, საველე სამუშაოების პროცესში, შეავსეთ **V6**, **V7**, და **V8**, როგორც ამას საჭიროება მოითხოვს. თუმცა, თუ ინტერვიუ სრულად ჩატარდა ოჯახში პირველივე ვიზიტის დროს, შეავსეთ მხოლოდ **V6** და აღარ შეავსოთ **V7** და **V8.** ანალოგიურად, თუ ინტერვიუ სრულად ჩატარდა მეორე ვიზიტისას, შეავსეთ **V6** და **V7**, მაგრამ არ შეავსოთ **V8.** სამივე ცვლადი – **V6**, **V7**, და **V8** – ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამჯერ ეწვიეთ შინამეურნეობას.

გთხოვთ, დაიმახსოვრეთ შესავალი ტექსტი, რომელიც თავფუცელშია მოცემული და რომლითაც უნდა მიმართოთ შინამეურნეობას ოჯახში ვიზიტისას, აუხსნათ კვლევის მიზნები და დაარწმუნოთ რესპონდენტთა პასუხების ანონიმურობაში.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თქვენც და რესპონდენტსაც ზედმიწევნით სწორად გესმოდეთ, თუ რას ვუწოდებთ ოჯახს (შინამეურნეობას) ამ კვლევის ფარგლებში. ოჯახის განმარტება მოცემულია თავფურცელში (გვ. 2): **„ოჯახში" ჩვენ ვგულისხმობთ იმ ადამიანებს, რომლებიც ამჟამად თქვენთან ერთად ცხოვრობენ, მიუხედავად მათი ოფიციალური საცხოვრებელი ადგილისა, და აქვთ საზიარო შემოსავალი და ხარჯები.** ეს განმარტება გამორიცხავს ოჯახის იმ წევრებს, რომლებიც ამჟამად ქვეყნის სხვა დასახლებულ პუნქტში, ან უცხოეთში ცხოვრობენ. კითხვა **V9**-ზე პასუხის გაცემისას, ოჯახის წევრმა არ უნდა გაითვალისწინოს ოჯახის ის წევრები, რომლებიც ამჟამად ამ სახლში არ ცხოვრობენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, შეიძლება, ძალიან ახლო ნათესავები იყვნენ (მაგ.: მეუღლე,

მშობლები, და ა.შ.). სხვა მხრივ, ოჯახის ყველა წევრი, ვინც ამჟამად ცხოვრობს ამ ბინაში/სახლში, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას, მათ შორის ოჯახის ის წევრი, რომელსაც თქვენ ესაუბრებით; მოხუცები, ბავშვები და ჩვილებიც.

თავფურცელის კითხვები **V10a** და **V10b**, ისევე, როგორც მომდევნო ცხრილი, გამოიყენება ოჯახის იმ სრულწლოვანი წევრის შესარჩევად, რომელთანაც უნდა ჩაატაროთ ინტერვიუ. ყურადღებით მისდიეთ თავფურცელში მოყვანილ ინსტრუქციებს. **V10** ცხრილის ბოლო სვეტში აუცილებლად მიუთითეთ (კოდი '1'), თუ ოჯახის რომელი წევრი იქნა შერჩეული. წინააღმდეგ შემთხვევაში კითხვარი გაუქმდება.

იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუ სრულად ჩატარდა პირველივე ვიზიტის დროს, **არგამოპასუხების ფორმა**, რომელიც მოცემულია თავფურცელში, **არ** უნდა შეივსოს. ყველა სხვა შემთხვევაში შეავსეთ ეს ფორმა ინსტრუქციების მიხედვით.

კითხვარი

აუცილებლად გადაიტანეთ **შინამეურნეობის საიდენტიფიკაციო ნომერი** კითხვარის თავფურცელიდან. ეს არის თქვენი, და არა ზედამხედველის მოვალოება.

შეეცადეთ დაჯდეთ წყნარ და კომფორტულ ოთახში. დარწმუნდით, რომ ოთახში მხოლოდ თქვენ და რესპონდენტი იმყოფებით. თუ ეს შეუძლებელია, ინტერვიუს დასასრულს აუცილებლად უნდა მიუთითოთ ამის შესახებ; თუმცა, გთხოვთ, ყველა ღონე იხმარეთ იმისათვის, რომ თქვენსა და რესპონდენტის გარდა არავინ ესწრებოდეს ინტერვიუს. მას შემდეგ, რაც რესპონდენტდი მოხერხებულად მოეწყობა, განისაზღვრება ინტერვიუს ჩატარების ენა და აღინიშნება თავფურცელის **L1** კითხვაში, თქვენ შეგიძლიათ დაიწყოთ ინტერვიუ. ჩაწერეთ ინტერვიუს ჩატარების თარიღი (კითხვა **T1**) და დაწყების დრო (კითხვა **T2**). არასდროს არ გადადოთ სამომავლოდ ინტერვიუს დაწყების დროის ჩაწერა, ინტერვიუს დასრულების შემდეგ შეიძლება ვეღარ გაიხსენოთ დაწყების ზუსტი დრო.

თავი M: მასმედია

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თქვენ სიტყვასიტყვით უნდა წაუკითხოთ რესპონდენტებს კითხვების ტექსტი, რომელიც დაბეჭდილია კითხვარში **არა-მთავრული მუქი ასოებით**. შესაბამისად, არ წაიკითხოთ კითხვარის თითოეული თავის სათაური, მაგრამ აუცილებლად წაიკითხეთ პირველივე წინადადება, რომელიც მოსდევს ამ სათაურს.

ამ ნაწილში ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის საინფორმაციო წყაროები, საიდანაც რესპონდენტი იღებს ინფორმაციას საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ. შესაძლებელია, რესპონდენტი სხვადასხვა ტიპის სატელევიზიო პროგრამებს უყურებდეს, მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს <u>მხოლოდ</u> ის პროგრამები, საიდანაც ის იგებს ახალ ამბებს საქართველოში ამჟამად მიმდინარე მოვლენების შესახებ.

თავი N: სოციალური ძსელები

კითხვა N4
აქ გვაინტერესებს ფულის სესხება კერძო პირისგან, და არა ბანკიდან ან რომელიმე სხვა ფინანსური დაწესებულებიდან.

კითხვები N7 – N10
ამ კითხვებში ჩვენ გვაინტერესებს, მუშაობს თუ არა რესპონდენტის ოჯახის წევრი ან ახლო ნათესავი ამა თუ იმ ტიპის ორგანიზაციაში / დაწესებულებაში,

<u>მიუხედავად იმისა</u>, რა თანამდებობაზე მუშაობენ ისინი. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ამ ორგანიზაციებში მუშაობის ფაქტი, არა აქვს მნიშვნელობა, რა თანამდებობა უკავია მას – პასუხი უნდა იყოს „დიახ" (კოდი '1') მიუხედავად იმისა, ოჯახის წევრი მძღოლად მუშაობს იქ თუ ადმინისტრაციის უფროსად.

იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტი თავად მუშაობს რომელიმე ამ ორგანიზაციაში, პასუხი უნდა იყოს „დიახ" (კოდი '1').

კითხვა N7

„ადგილობრივი ხელისუფლება" ნიშნავს სოფლის, ქალაქის ან რეგიონის მმართველ ორგანოს – ნებისმიერ მმართველობით ორგანოს, <u>**გარდა**</u> ქვეყნის ცენტრალური მთავრობისა, რომელიც განკარგავს მთელი ქვეყნის მასშტაბით. თქვენ შეგიძლიათ ეს აუხსნათ რესპონდენტს ამ პარაგრაფის დასაწყისში მოყვანილი სიტყვებით.

თუ რესპონდენტის ახლო ნათესავი მუშაობს სოფლის საკრებულოში, პასუხი ამ კითხვაზე იქნება „დიახ" (კოდი '1'). იგივე პასუხი იქნება, თუ რესპონდენტის ახლო ნათესავეი მუშაობს დიდი ქალაქის ან თბილისის მერიაში.

თავი J: დასაქმება

კითხვა J2

„დასაქმებულში" ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო ოფიციალურ სამსახურს, რომელიც ეფუძნება წერილობით კონტრაქტს დამქირავებელთან, არამედ ნებისმიერ სამსახურს, რაც მოიცავს არაოფიციალურ მორიგებებსაც, რისთვისაც მას ფულს უხდიან. ამ კონტექსტში თვითდასაქმებაც განიხილება როგოც სამსახური, რადგან თვითდასაქმებული ადამიანი მუშაობს და ამაში იღებს გასამრჯელოს. ქუჩის მოვაჭრეები ან ბაზრობებზე დასაქმებულები განიხილებიან როგორც დასაქმებულები, ისევე როგორც სოფლის მეურნეობაში თვითდასაქმებულები, რადგანაც ამას მათთვის შემოსავალი მოაქვს.

კითხვა J3

იმ შემთხვევაში, თუ რესპონდენტს აქვს რამდენიმე სამსახური, ჰკითხეთ მხოლოდ <u>ძირითადი</u> სამსახურის შესახებ. როგორც წესი, ძირითადი სამსახური არის ის ადგილი, სადაც რესპონდენტი ყველაზე მეტს გამოიმუშავებს; ასევე, ეს შეიძელბა იყოს ის სამსახური, რომელიც ყველაზე სტაბილურია, ან რომელიც რესპონდენტს მუდმივად მიაჩნია. ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხია შესაძლებელი.

გთხოვთ, გაითვალისწინეთ, რომ თვითდასაქმებულთა ორივე კატეგორია (ვარიანტები '1' და '2') მოიცავს იმ ადამიანებს, რომლების ძირითადი საქმიანობაა მიწის ნაკვეთზე მუშაობა, იქნება ეს მათი საკუთარი ნაკვეთი თუ სხვისი.

„ადგილობრივ" ორგანიზაციაში ან საწარმოში (ვარიანტები '3' და '4') ჩვენ ვგულისხმობთ ორგანიზაციებს ან საწარმოებს, რომლებიც ფუნქციონირებენ ქვეყნის ან რაიონის/ქალაქის ფარგლებში; ამის საპირისპიროდ, "საერთაშორისო" ისეთი ორგანიზაცია ან საწარმო, რომლის საქმიანობაც ერთი ქვეყნის ფარგლებს სცილდება.

კითხვა J9

აქ ჩვენ გვაინტერესებს შემოსავალი, რომელსაც რესპონდენტი ხელზე იღებს.

კითხვა J10

ეს მოიცავს „მომენატალურ კრედიტს" ან „განვადებას", რომელსაც სთავაზობს ხოლმე მაღაზია ავეჯის ან სხვა ხანგრძლივი მოხმარების ნივთების შეძენისას.

თავი P: პოლიტიკური შეხედულებები

კითხვა P2

„საშინაო პოლიტიკა" ნიშნავს პოლიტიკურ მოვლენებს მთელი ქვეყნის მასშტაბით (პარლამეტი, მინისტრები). ეს მოვლენები არ უკავშირდება ურთიერთობებს ქვეყნებს

შორის, და ძალიან იშვიათად შეიძლება იყოს ფოკუსირებული რომელიმე სოფელში, ქალაქსა ან რაიონში არსებულ ვითარებაზე.

კითხვა P3
„ადგილობრივი პოლიტიკა" ნიშნავს პოლიტიკურ მოვლენებს, რომლებიც ვითარდება რომელიმე რაიონის, ან ცალკეული დასახლებული პუნქტის მასშტაბით (მაგ., რომელიმე ქალაქის მერის გადაწყვეტილებები). როგორც წესი, ამ მოვლენების გავლენა აღნიშნულ დასახლებულ პუნქტს (ან რაიონს) არ სცილდება.

კითხვა P4
ამ კითხვაში თქვენ უნდა შეცვალოთ საწყისი სოციალური ინსტიტუტი ყოველ ინტერვიუში, რომელსაც ჩაატარებთ. ანუ, თქვენს მიერ ჩატარებული პირველი ინტერვიუ უნდა დაიწყოთ ცხრილში მოყვანილი პირველი სოციალური ინსტიტუტით (ჯარი); მეორე ინტერვიუ – ცხრილში მოყვანილი ბოლო სოციალური ინსტიტუტით (გაერო); მესამე ინტერვიუ – ისევ ჯარით; მეოთხე – გაეროთი, და ა.შ.

ყველა კითხვარში **აუცილებელია** მონაცვლეობის კოდის აღნიშვნა.

კითხვები P6a და **P6b**
არ წაუკითხოთ რესპონდენტს კითხვარში მოყვანილი პასუხის ვარიანტები – მან თქვენი დახმარების გარეშე უნდა გასცეს პასუხი ამ კითხვას.

თავი D: რესპონდენტის მახასიათებლები

კითხვა D1
<u>არ</u> წაუკითხოთ კითხვარში მოყვანილი პასუხის ვარიანტები. მიიღეთ რესპონდენტის მხოლოდ ერთი პასუხი.

თუ რესპონდენტის პასუხია „მეგრელი" ან „სვანი", შემოხაზეთ კოდი '3' („ქართველი"), ვინაიდან მეგრელებიც და სვანებიც ეთნიკურად ქართველები არიან.

კითხვა D2
თუ რესპონდენტის პასუხია „მეგრული" ან „სვანური", შემოხაზეთ კოდი '6' („სხვა ენა").

კითხვა D3
ჩაწერეთ აკადემიური წლების რაოდენობა, რომელთა განმავლობაშიც რესპონდენტი სწავლობდა ფორმალურ სასწავლო დაწესებულებებში, დაწყებითი სკოლის პირველი კლასიდან მის მიერ მიღებული განათლების ყველაზე მაღალი საფეხურის ჩათვლით.

იმ შემთვევაში, თუ განათლების მიღების პროცესში ადგილი ჰქონდა რაიმე შუალედს – რაღაც პერიოდს, რომლიც მანძილზეც რესპონდენტი არ სწავლობდა, – ეს პერიოდი არ უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში. მაგალითად: თუ რესპონდენტმა დაასრულა 9-წლიანი სასწავლო პროგრამა სკოლაში და შემდეგ 3-წლიანი პროგრამა „პროფ. ტექნიკუმში", პასუხი იქნება (9+3=) **12 წელი**. თუ ადამიანი 11 წელი სწავლობდა საშუალო სკოლაში 1989–1990 წლებში და საშუალო სკოლის დასრულებისთანავე კიდევ 5 წლის მანძილზე გააგრძელა სწავლა უნივერსიტეტში 1990–1995 წლებში, მის მიერ განათლების მიღებაზე დახარჯული წლების საერთო რაოდენობა იქნება (11+5=) **16 წელი**.

სხვა მხრივ, თუ ადამიანი 11 წელი სწავლობდა საშუალო სკოლაში 1989–1990 წლებში, მერე დაიწყო მუშაობა და 4 წლის შემდეგ ჩააბარა უნივერსიტეტში, სადაც მან კიდევ 6 წლის მანძილზე ისწავლა 1994–2000 წლებში, მის მიერ განათლების მიღებაზე დახარჯული წლების საერთო რაოდენობა იქნება (11+6=) **17 წელი**.

ადამიანისთვის, რომელიც 11 წელი სწავლობდა სკოლაში, საშუალო სკოლის დასრულებისთანავე კიდევ 5 წლის მანძილზე გააგრძელა სწავლა უნივერსიტეტში და შემდეგ კიდევ 4 წლი ისწავლა ასპირანტურაში ან დოქტორანტურაში, მიერ მიერ განათლების მიღებაზე დახარჯული წლების საერთო რაოდენობა იქნება (11+5+4=) **20 წელი**.

თქვენ გევალებათ ჩაწეროთ მხოლოდ **წლების ჯამი**, რაც რესპონდენტმა დახარჯა განათლების მიღებაზე, და არა ის, თუ როგორ ნაწილდება ეს წლები სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლებაზე.

ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ განათლების მიღებაზე დახარჯული წლების რაოდენობა, არ აქვს მნიშვნელობა, რესპონდენტმა მიიღო ხარისხი/დიპლომი, თუ არა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ თქვენ <u>არ შეგიძლიათ</u> აქ ჩაწეროთ ინტერვალი (მაგ. 10-12 წელი) – თქვენ უნდა ჩაწეროთ ერთი რიცხვი, რომელიც შეესაბამება რესპონდენტის მიერ განათლების მიღებაზე დახარჯული წლების რაოდენობას.

კითხვა D4 , ცხრილი D4

ეს ცხრილი უნდა შეივსოს <u>ჰორიზონტალურად</u>. მიიღეთ თითო პასუხი ყოველ მწკრივში. შემოხაზეთ კოდი '1', თუ რესპონდენტს არ აქვს საწყისი ცოდნა მოცემულ დარგში.

კითხვა D14

აქ ჩვენ გვაინტერესებს, რომელი რელიგიის მიმდევრად თვლის რესპონდენტი თავს, მისი იდენტიფიკაცია, და არა ოფიციალური გაწევრიანება ამა თუ იმ რელიგიურ ორგანიზაციაში ან ჯგუფში.

კითხვა D16

რელიგიურ მსახურებაში ჩვენ ვგლისხმობთ ოფიციალურ (ფორმალურ) რელიგიურ მსახურებებს (ცერემონიებს).

თავი A: შინამეურნეობის პასპორტი

<u>ოჯახის განმარტება:</u> გთხოვთ, გაუმეოროთ რესპონდენტს ოჯახის განმარტება, რომელიც ამ კვლევის ფარგლებში გამოიყენება. ამ განმარტების თანახმად, ოჯახზე ვლაპარაკობთ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ორი ძირითადი პირობა:

1. ადამიანები ამჟამად ერთად ცხოვრობენ, და
2. მათ საზიარო შემოსავალი და ხარჯები აქვთ.

ოჯახის შესახებ ვსაუბრობთ მხოლოდ მაშინ, როდესაც <u>**ორივე**</u> პირობაა დაკმაყოფილებული. თუ რომელიმე ამ პირობიდან არ არის დაკმაყოფილებული, მაშინ ეს <u>**არ არის**</u> ოჯახი ამ კვლევის ფარგლებში.

კითხვა A1

დაიმახსოვრეთ, რომ ამჟამინდელი მიგრანტები (ოჯახის წევრები, რომლებიც სულ ცოტა 3 თვეა, არ ცხოვრობენ ამ ოჯახში) არ ითვლებიან ოჯახის წევრებად. ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ ამ ოჯახში ინტერვიუს დროს, ან <u>3 თვეზე ნაკლებია</u>, რაც წასულები არიან და უკან დაბრუნდებიან მანამ, სანამ მათი წასვლიდან 3 თვე შესრულდება.

შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც ოჯახს, სადაც ინტერვიუს ატარებთ, მჭიდრო ეკონომიკური კავშირები აქვს სხვა ოჯახთან, მაგრამ ეს ორი ოჯახი ერთად არ ცხოვრობს (ამის ყველაზე ხშირი მაგალითია სტუდენტები, რომლებიც დიდ ქალაქში სწავლობენ და ცხოვრობენ, მათი მშობლები კი სოფლიდან უგზავნიან ფულს და/ან პროდუქტებს). ამ კვლევის ფარგლებში ესაა <u>ორი სხვადასხვა შინამეურნეობა</u>, ვინაიდან ამჟამად ისინი არ ცხოვრობენ ერთად დროის უმეტესი ნაწილი (თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ ასეთი მდგომარეობა დროებითია – მაგრამ, სანამ ასეთი ვითარებაა, ეს ორი სხვადასხვა შინამეურნეობაა).

კითხვები A1 – A10_H

პასუხები ამ კითხვებზე უნდა დაფიქსირდეს **A1** ცხრილში. ცხრილი უნდა შეივსოს <u>**ჰორიზონტალურად**</u>. დაიმახსოვრეთ, რომ <u>ოჯახის არც ერთი წევრი, რომელიც ამჟამად არ ცხოვრობს ოჯახში და 3 თვეზე მეტია, რაც წასულია ოჯახიდან, არ</u>

<u>შეიძლება შეყვანილ იქნეს ამ ცხრილში.</u>

პირველ რიგში, **A1** ცხრილის პირველ მწკრივში შეიყვანეთ ინფორმაცია რესპონდენტის შესახებ. კითხვები რესპონდენტის შესახებ მთავრდება "R" ასოზე (მაგ: A3_R; A4_R და ა.შ., A10_R-ს ჩათვლით). ანალოგიური კითხვები ოჯახის ყველა სხვა წევრის შესახებ მთავრდება "H" ასოზე (მაგ: A3_H; A4_H და ა.შ.); ეს კითხვები უნდა დაუსვათ <u>მხოლოდ მას შემდეგ</u>, რაც უკვე შეგროვებულია ინფორმაცია თავად რესპონდენტის შესახებ (ანუ, სრულადაა შევსებული **A1** ცხრილის პირველი მწკრივი).

თუ ოჯახი, სადაც ინტერვიუს ატარებთ, მხოლოდ ერთი წევრისგან შედგება, თქვენ უნდა დაუსვათ <u>მხოლოდ</u> ის კითხვები, რომლებიც "R" ასოზე მთავრდება.

თუ ოჯახი ერთზე მეტი წევრისგან შედგება, მაშინ ჯერ თანმიმდევრობით უნდა დაუსვათ ყველა კითხვა რესპონდენტის შესახებ (რომლებიც "R" ასოზე მთავრდება), და მას შემდეგ, რაც სრულად შეივსება **A1** ცხრილის პირველი მწკრივი, თანმიმდევრობით დაუსვით ყველა კითხვა, რომლებიც "H" ასოზე მთავრდება, ჯერ-ჯერით ოჯახის ყველა სხვა წევრის შესახებ. თქვენ იმდენჯერ მოგიწევთ ამ კითხვების გამეორება, რამდენი წევრიცაა ოჯახში (რესპონდენტს თუ არ ჩავთვლით).

ამ ცხრილის შევსებისას ზედმიწევნით მისდიეთ ინსტრუქციებს და სწორი თანმიმდევრობით დაუსვით კითხვები. არ გადაახტეთ კითხვებს, მაშინაც კი, თუ რესპონდენტი განსხვავებული თანმიმდევრობით გპასუხობთ. სთხოვეთ რესპონდენტს, მისდიოს თქვენს მიერ დასმულ კითვებს; აუხსენით მას, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვნია.

ბარათი A2

ამ ბარათში არ არის კოდი '1', რადგან, როგორც აღნიშნულია კითხვარში, რესპონდენტის კოდი წინასწარ არის შეყვანილი ცხრილში **A1**. ეს ბარათი იწყება კოდით '2', და ეს არ არის შეცდომა.

კითხვა A4

ამ კითხვისთვის ჩვენ გვაქვს ბარათი (ბარათი A4), მაგრამ ეს ბარათი უნდა გამოიყენოთ <u>**მხოლოდ**</u> იმ შემთხვევაში, თუ დარწმუნდებით, რომ რესპონდენტი ვერ იხსენებს შინამეურნეობის წევრის დაბადების წელს. გთხოვთ, ყველანაირად სცადეთ, რომ მიიღოთ დაბადების ზუსტი წელი, და ეს ბარათი გამოიყენეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნებით, რომ სხვა გამოსავალი არ არის.

კითხვა A6

„არასრულ საშუალო განთლებაში" (პასუხის ვარიანტი '3') ჩვენ ვგულისხმობთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ადამიანი სწავლობს სკოლაში, მაგრამ ჯერ არ დაუმთავრებია სასწავლო პროგრამა. ანალოგიურად, „არასრული უმაღლესი განათლება" ნიშნავს, რომ ადამიანი სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ ჯერ არ დაუსრულებია სასწავლო პროგრამა. პასუხის ეს ვარიანტები ერთნაირად ეხება როგორც ამჟამინდეს მოსწავლეებს და სტუდენტებს, ვინც აგრძელებს სწავლას, ასევე მათ, ვინც ამა თუ იმ მიზეზის გამო შეწყვიტა სწავლა (თავი გაანება სასწავლო დაწესებულებას).

„უმაღლეს განათლებაში" (ვარიანტი '7') ჩვენ ვგულისხმობთ ნებისმიერი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებას, იქნება ეს „სპეციალისტი" (5-წლიანი განათლება), „ბაკალავრი" თუ „მაგისტრი". თუმცა, ეს კატეგორია განსხვავდება "სამეცინიერო ხარისხისგან" (ვარიანტი '8'), რომელიც შეესაბამება მეცნიერებათა კანდიდატს ან მეცნიერებათა დოქტორს.

კითხვა A7

ეს კითხვა უნდა დაუსვათ შინამეურნეობის მხოლოდ იმ წევრების შესახებ, ვისაც უკვე შეუსრულდა 14 წელი, ვინაიდან არ არის მოსალოდნელი, რომ მცირეწლოვანები დასაქმებულები იყვნენ და ოჯახში ფულადი შემოსავალი მოჰქონდეთ. ასე რომ, გთხოვთ, შეამოწმეთ **A1** ცხრილის <u>**A4 სვეტში**</u> ჩაწერილი

ინფორმაცია და დაუსვით **A7** კითხვა **მხოლოდ** იმ შემთხვევაში, თუ ამ გრაფაში ჩაწერილი წელი 1995-მდეა (1995 წლის ჩათვლით). **არ** დაუსვათ ეს კითხვა, თუ **A4** სვეტში ჩაწერილი წელი არის 1996-სა და 2009 წლებს შორის – ასეთ შემთხვევებში ეს გრაფა დატოვეთ ცარიელი.

„დასაქმებულში" ჩვენ ვგულისხმობთ არა მარტო ოფიციალურ სამსახურს, რომელიც ეფუძნება წერილობით კონტრაქტს დამქირავებელთან, არამედ შინამეურნეობის წევრის ნებისმიერ სამსახურს, რაც მოიცავს არაოფიციალურ მორიგებებსაც, რისთვისაც მას ფულს უხდიან. ამ კონტექსტში თვითდასაქმებაც განიხილება როგოც სამსახური, რადგან თვითდასაქმებული ადამიანი მუშაობს და ამაში იღებს გასამრჯელოს.

ოჯახის წევრები, რომლებიც არიან სამხედრო სამსახურში, განიხილებიან დასაქმებულებად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელშეკრულებით მსახურობენ. თუ ისინი იხდიან სავალდებულო სამხედრო სამსახურს, ეს არ განიხილება როგორც დასაქმება.

კითხვა A8

აქ გვაინტერესებს, თუ რამდენი ხანია, რაც რესპონდენტი ან ოჯახის წევრი მუშაობს, თვითდასაქმების ჩათვლით.

კითხვა A9

ეს კითხვა უნდა დაუსვათ შინამეურნეობის მხოლოდ იმ წევრების შესახებ, ვისაც უკვე შეუსრულდა 16 წელი, რადგან არ არის მოსალოდნელი, რომ 16 წელზე უმცროსი ბავშვები დაქორწინებულები იყვნენ. ასე რომ, გთხოვთ, შეამოწმეთ **A1** ცხრილის **A4** სვეტში მოყვანილი ინფორმაცია და დაუსვით **A9** კითხვა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ გრაფაში ჩაწერილი წელი 1993-მდეა (1993 წლის ჩათვლით). **არ** დაუსვათ ეს კითხვა, თუ **A4** სვეტში ჩაწერილი წელი არის 1994-სა და 2009 წლებს შორის – ასეთ შემთხვევებში ეს გრაფა დატოვეთ ცარიელი.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ შესაბამის ბარათში (ბარათი A9) ჩვენ გვაქვს რამდენიმე კატეგორია „დაქორწინებულისთვის", რათა შევიტყოთ, თუ როგორ არის ის, ან მისი ოჯახის წევრები, დაქორწინებული. ასე რომ, არ მიიღოთ პასუხი „დაქორწინებული" და აუცილებლად სთხოვეთ რესპონდენტს, მოუთითოს „დაქორწინებულთან" დაკავშირებული ერთ-ერთი კატეგორია: '2', '3' ან '4'.

პასუხის ვარიანტი '7' ამ ბარათში ("დაშორებული") ნიშნავს, რომ წყვილი ადრე დაქორწინებული იყო, მაგრამ შემდგომში მათ გადაწყვიტეს დაშორება და ამჟამად ერთად აღარ ცხოვრობენ. ამასთან, ისინი არ არიან განქორწინებულნი, წყვილი შეიძლება ისევ შერიგდეს, მაგრამ ამ მომენტში ისინი ფაქტიურად არ არიან ქორწინებაში (თუმცა კანონით შეიძლება იყვნენ), არ შეადგენენ ერთ შინამეურნეობას და არ აქვთ საზიარო შემოსავალი და ხარჯები.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ დაქორწინებული წყვილები შეიძლება ერთად არ ცხოვრობდნენ (მაგ., თუ ერთ-ერთი მეუღლე ემიგრანტია), მაგრამ რამდენადაც ისინი დაოჯახებულად თვლიან თავს და აქვთ საზიარო შემოსავალი და/ან ხარჯები, ისინი ითვლებიან დაქორწინებულებად.

თავი C: ოჯახის ეკონომიკური პირობები და ქცევა

კითხვა C1

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ საცხოვრისის „მფლობელი" (პასუხის ვარიანტი '3') არ შეიძლება იყოს ამ ოჯახის წევრი.

შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც ბინა სახელმწიფოს მფლობელობაშია, ან იმ კომპანიის მფლობელობაში, სადაც რესპონდენტი ან მისი ოჯახის რომელიმე წევრი მუშაობს. ასეთ შემთხვევებში შემოხაზეთ კოდი '4'.

კითხვები C2-C4

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კითხვები **C2, C3** და **C4** ეხება კომუნალური მომსახურეობის იმ სახეებს, რომლებიც შინამეურნეობებს მიეწოდება შესაბამისი

კომპანიის ან მუნიციპალიტეტის მიერ; ეს კითხვები არ ეხება ინდივიდუალური მომარაგების სისტემებს, რომლებიც შეიძლება ხალხმა დააყენა სახლებში საკუთარი ხარჯით. კომუნალური მომსახურებით „უზრუნველყოფილი" ნიშნავს, რომ ოჯახი მიერთებულია ამ კომუნალურ მომსახურებას და, ტექნიკურად, შეუძლია მისი გამოყენება, თუმცა, არა აქვს მნიშნველობა, იყენებს თუ არა ის ამ მომსახურებას.

ცხრილი C2 უნდა შეავსოთ **სვეტების მიხედვით**.

კითხვები C8a, C8b, C8c, ცხრილი C8

თანმიმდევრობით ჰკითხეთ ცხრილში მოყვანილი ნივთების შესახებ და შეავსეთ ცხრილი **ჰორიზონტალურად**; დაწერეთ რესპონდენტის პასუხის შესაბამისი კოდები თითოეულ ნივთთან მიმართებაში.

ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის ნივთები, რომლებიც მუშა მდგომარეობაშია და რომლებსაც შინამეურნეობა იყენებს. ასე რომ, მაგალითად, თუ შინამეურნეობას აქვს მაცივარი, რომელიც არ მუშაობს, მაგრამ მაინც სადღაც სახლში, ეს აღინიშნება კოდით '0' („არა"), და ამ ნივთის შესახებ აღარ ვუსვამთ დამატებით კითხვებს.

ამ ცხრილის შევსებისას, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ არ აქვს მნიშვნელობა შეძენილი ნივთი იყო ნახმარი თუ ახალი. ჩვენ მხოლოდ ის გვაინტერესებს, ფლობს თუ არა შინამეურნეობა ამა თუ იმ ნივთს, და თუ ფლობს – როდიდან.

შეიძლება იყოს ისეთი შემთხვევები, როდესაც შინამეურნეობას არ შეუძენია ეს ნივთი, არამედ მიიღო როგორც საჩუქარი, ან რაიმეში გაცვალა. ასეთ შემთხვევებში გამოიყენეთ კოდი '9997' სვეტში **C8c**.

კითხვა C10

ამ კითხვაში ჩვენ მხოლოდ რესპონდენტის სუბიექტური აღქმა გვაინტერესებს. თუ ოჯახი ყოველდღიურად მოიხმარს ხორცს, მაგრამ რესპონდენტი მაინც თვლის, რომ ის და მისი ოჯახის წევრები ვერ იღებენ ხორცის საკმარის ოდენობას და ამ პროდუქტს შეზღუდულად მოიხმარენ, მაშინ ასევე უნდა მიუთითოთ.

იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი საერთოდ არ მოიხმარს საკვების ამა თუ იმ სახეობასა (მაგ., თუ ვეგეტარიანელები არიან და არასოდეს ჭამენ ხორცს), გამოიყენეთ კოდი '97' იმ საკვებთან მიმართებაში, რომელსაც ოჯახი არ მოიხმარს.

ამ კითხვისთვის არა აქვს მნიშვნელობა, ოჯახს თავად მოჰყავს ესა თუ ის პროდუქტი, თუ ოჯახის წევრები ყიდულობენ მას – მიუხედავად იმისა, თავად მოჰყავთ თუ ყიდულობენ, ჩვენ გვაინტერესებს, თვლიან თუ არა ისინი, რომ უხდებათ ამა თუ იმ პროდუქტების ან მომსახურების მოხმარების შეზღუდვა.

კითხვა C11a

აქ ჩვენ გვაინტერესებს ნებისმიერი ფულადი დანაზოგი რაც შეიძლება ჰქონდეს შინამეურნეობას. ეს მოიცავს ნაღდ ფულს სახლში, საბანკო ანგარიშს და ა.შ. ჩვენ არ გვაინტერესებს თანხის რაოდენობა – „დანაზოგი" არის ნებისმიერი თანხა, რაც შინამეურნეობას გვერდზე აქვს გადადებული და გარკვეული პერიოდის მანძილზე არ აპირებს მის დახარჯვას.

კითხვა C11b

იმ შემთხვევაში, თუ შინამეურნეობის წევრებმა ნისიად წამოიღეს პროდუქტები მეზობელი სასურსათო მაღაზიიდან, ისე რომ მათ უფლება მისცეს, რამდენიმე დღის ან რამდენიმე კვირის შემდეგ გადაიხადონ ფული, ესეც ვალად ითვლება.

კითხვა C12

ეს კითხვა არის ოჯახის ყველა წევრის წლიური შემოსავლის შესახებ. აუცილებლად შეავსეთ ყველა უჯრა.

კითხვები C14 და C15

ეს კითხვები ოჯახის ყველა წევრის საერთო თვიური შემოსავლის და საერთო თვიური ხარჯების შესახებაა, და არა მხოლოდ რესპონდენტის შემოსავლის შესახებ. ასე რომ, რესპონდენტმა უნდა დაიანგარიშოს ოჯახის ყველა წევრის საერთო შემოსავალი (კითხვა **C14**) და საერთო ხარჯები (კითხვა **C15**).

კითხვები C22 და C23
ამ კითხვებითაც მხოლოდ რესპონდენტებისეული აღქმის შესწავლას ვცდილობთ; ისინი ეხება რესპონდენტების ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას, და არა მათ განათლებას, სოციალურ ან სხვა მდგომარეობას.

კითხვა C25
აქ გვაინტერესებს შემოსავლის ოდენობა, რომელიც, რესპონდენტის აზრით, უზრუნველყოფს მისი ოჯახის ნორმალურ ცხოვრებას. ჩვენ არ განვსაზღვრავთ სიტყვა „ნორმალურის" მნიშვნელობას, ჩვენ გვინდა, რომ რესპონდენტმა თავად გადაწყვიტოს, რას ნიშნავს მისთვის "ნორმალური" ცხოვრება.

კითხვა T3
ინტერვიუს დასრულებისას ჩაინიშნეთ ინტერვიუს დასრულების დრო.

ინტერვიუს შეფასება ინტერვიუერის მიერ

კითხვები W1-W11
გთხოვთ შეავსოთ ეს ფორმა ინტერვიუს <u>დასრულებისთანავე</u>.

თუ გაგიჩნდათ დამატებითი შენიშვნები ან კომენტარები, გთხოვთ გაუზიაროთ თქვენი მოსაზრებები საველე სამუშაოების ზედამხედველს თქვენს რეგიონში, ან უშუალოდ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრს.

ყურადღება!

საველე სამუშაოების დროს რაიმე პრობლემის შემთხვევაში მიმართეთ თქვენს ზედამხედველს:

_____

ტელ.: _____

ასევე, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის წარმომადგენელს, ქრისტინა ვაჭარაძეს, შემდეგ ნომერზე: 899 38 80 64.

დიდი მადლობა ჩვენთან თანამშრომლობისათვის!